რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43
კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: [illegible]კბით ასოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივ ცალკერთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

## „დროებაზე“

ამ პირველი ივლისიდამ ვიდრე 1878 წლის პირველ იანვრამდინ

მიიღება თფილისში, „დროების“ რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა—4 მან. და 50 კაპ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба.“*

უმორჩილესად ვთხოვთ იმ ჩვენს აგენტებს, რომელთაც რედაქციასთან თავიანთ ხელის-მომწერლების ანგარიში ჯერ კიდევ გასწორებული არა აქვთ, რაც შეიძლება მალე გაასწორონ ანგარიში და ხვედრი ფული გაზეთისა გამოგზავნონ რედაქციაში.

## ტელეგრამმები

(ოფიციალური)

ბრძოლის ველიდამ

**ტირნოვო**, 7 ივლისს. შიპკოს გასავალი (ბალკანზე) დღეს ჩვენს ხელშია. ამ გასავლის აღების დროს ჩვენის მხრით 100 კაცი მოკლეს და 100 დაჭრილია. ამას გარდა 2 აფიცერი მოკლულია და 5 დაჭრილი.

---

**ს.-პეტერბურღი**, 13 ივლისს. გაზეთი „Timps“ ამბობს, რომ ბეზიყის ნავსადგურში დაყენებულს ინგლისის ფლოტს ბრძანება მოუვიდაო, რომ ძრიელ მოკლე ხანში გალიპოლში წავიდეს.

**ჟურჟევო**, 11 ივლისს. გაზეთს „Голосъ“ ჟურჟევოდამ მოუვიდა დეპეშა, რომ ოსმალოს რვა ჯავშნიან ხომალდებმა განიზრახეს დღეს რუსჩუკიდამ გალაცისაკენ წასვლა დუნაიზედ. რუსის ბატარეებმა სამს ამათგანს დაუშინეს ყუმბარები და ერთი დალუპეს; დანარჩენი კი წავიდნენ.

დღეს დილით რუსჩუკთან ბრძოლა იყო.

**ლონდონი**, 12 ივლისს. საზოგადოებათა პალატის სხდომაზე ერთმა დეპუტატმა ჰკითხა მმართებლობას:—მოსალოდნელია, თუ არა რომ ინგლისსა და რუსეთს შუა ომი მოხდეს? თუ მოსალოდნელია, როგორ ჰგონია მმართებლობას—მარტო ინგლისი იქნება რუსეთის წინააღმდეგ, თუ მომხრეები ეყოლება? მინისტრმა ნორტკოტმა ამ კითხვაზე არ მისცა დეპუტატს არავითარი პასუხი.

---

## ფელტონი

### სიცრუეს მოკლე კუდი აქვს

(შენიშნვა ფრანც. გაზეთის „Temps“-ის კორრესპონდენტის შენიშნვებზედ)

ამ ორის თვის წინათ ჩვენს ქალაქში ლაპარაკობდნენ, რომ ერთი ფრანცუზული გაზეთის კორრესპონდენტი არის ამ ჟამად აქაო, რომელსაც გარს შემოხვევიან ქალაქის რამდენიმე ახალგაზდა განათლებული სომეხი, დღე და ღამე კატის კნუტსავით დაათრევენ, მუდამ რაღასაც უჩურჩულებენ, ბაღებში და სოფლებში პატიჟობენ, სადილებს უმართავენ, ერთად დადიან, ერთად სმენ, ერთად სჭამენ,—ერთი სიტყვით ფეხს არ ადგმევინებენ ისე, რომ ერთი იმათგანი მაინც არ გაჰყვეს და ყველა იმის მოქმედებასა და ხმის ამოღებაზე არ დაესწროსო.

ბევრს უკვირდა—თუ რას უნდა მიეწეროს ეს გარემოება; ბევრს ვერ გაეგო—თუ რა მიზანი უნდა ჰქონდეს ამ სომხის ახალხაზდობას, რომ ასე თავს ევლებიან ამ ფრანცუზული გაზეთის კორრესპონდენტს; ვერ გაეგოთ—თუ ასე უანგაროთ რად იხარჯებიან ამ კაცზე ესენი; ვერ გაეგოთ—თუ რა კავშირი, რა მეგობრობა, რა ანგარიში უნდა ჰქონდესთ ამ ახალგაზდა სომხებს, რომ ასე მჭიდროთ შემორტყმიან გარს ამ ფრანცუზსა და თუ არ თავის კაცს, ისე არავის გააცნობენ, არივის დაალაპარაკებენ.

×

ყველა ეს ვერ გაეგოთ ამიტომ, რომ ჩვენი ქალაქის სომხებისაგან (თუნდაც ახალგაზდა განათლებულ სომხებისაგან) ჩვენ უანგარო მოქმედებას და გამოუანგარიშებელ ხარჯსა და პლატონიურ მეგობრობასა და სიყვარულს როგორღაც ვერ ვართ შეჩვეული.

როცა ზემოხსენებული ჭკუა-მოკლე და გამჭრიახობას მოკლებული ზოგიერთები ყველა ამ გარემოებაზე ფიქრობდნენ და ამის გაგებასა და ახსნას ცდილობდნენ, ის კარანტინად გადაქცეული ახალგაზდა სომხები ნელ-ნელა და ჩუმჩუმად იცინოდნენ ხოლმე ულვაშებში და ამბობდნენ თავის გუნებაში: „ისეთს ნაიდაგზე თესლს არ გავაგდებთ, რომ იმან ნამყოფი არ მოიტანოს!“

მართლაც, ახლა აღმოჩნდა, რომ ისინი „კარგათ იცინოდნენ“ და უნამყოფო ალაგს არ გაუგდიათ თესლი.

იმათ თავ-შემოვლებამ, იმათ ხარჯმა, იმათ ჩურჩულმა და მუდამ წამს ფრანცუზული კორრესპონდენტის უკან სდევნამ თავის ნაყოფი მოიტანა; მაიტანა ისეთი ჩინებული ნაყოფი და ისე ბლომათაც, რომ თვითონაც არ მოელოდნენ. ასე კარგია, ანგარიშიანი და წინ დახედული რომ იქნება კაცი!

×

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ იმ ფრაცუზული გაზეთის Timps“-ის კორრესპონდენტს უფ. კუტულის იმიტომ ევლებოდნენ თავს, იმიტომ პატიჟობდნენ და იმიტომ ათრევდნენ აქეთ-იქით, რომ რაც უნდოდათ და როგორც უნდოდათ, ისე ელაპარაკნათ იმისათვის, და ამასაც იმათის თვალებითა და მხედველობით შეეხედნა ყველასთვის და ყველაფრისთვის.

იმათ შეუსრულდათ თავიანთი წადილი: ჩვენ გვაქვს ხელში რამდენიმე ნომერი ხსენებული ფრანცუზული გაზეთისა, რომელშიაც დაბეჭდილია უფ. კუტულის კორრესპონდენციები კავკასიის სხვადა-სხვა ხალხებზედ და იმათ მდგომარეობაზედ.

ჩვენ მოვიყვანთ ამ კორრესპონდენციებიდამ რამდენსამე ალაგს, რომლიდამაც მკითხველი ცხადათ დარწმუნდება—თუ რა კარგად, რა ერგულად „შეუმუშავებიათ“ სომხებს ეს კორრესპონდენტი და რა „მარჯვედ“ აუსრულებიათ იმათ თავიანთი გულის წადილი.

×

ყველგან, საცა კი თავის კორრესპონდენციებში ლაპარაკობს კავკასიის სომხებზე უფ. კუტული, ყველგან თანაგრძნობითა და ზოგან აღტაცებითაც ლაპარაკობს იმათ ენერგიაზე, განათლებაზე, გონების გამჭრიახობაზე და წარმოიდგინეთ—მხნეობაზედაც.

**ნიუ იორკი**, 11 ივლისს. ამერიკის შტატებში მუშებმა პირი მისცეს ერთმანეთს, რომ არ ვიმუშაოთო. სოფლის მუშებიც სტოვებენ მიწის მუშაობას და ქალაქის მუშებს უერთდებიან. საზოგადოება ძალიან აღელვებულია ამ გარემოებისაგან.

# ომის ამბები

## აზიის ბრძოლის ველიდამ

რუსულ გაზეთს „Голосъ“-ში დაბეჭდილია შემდეგი სტრიქონები:

„მე მითხრეს, ვითომც სულთანი ავრცელებს ხმას, რომ ყოველ რუსის აფიცერს, რომელიც ჩვენკენ გადმოვა, ერთი-ორად მივცემ ჯამაგირს და ორ ჩინს ერთად მიუმატებო. ამბობენ, რომ, როცა ეს ამბავი ხელმწიფე იმპერატორს უთხრეს, იმან ჩაიცინა და ბრძანაო:

„—ძალიან კარგი! მე ვიქმნები პირველი რუსის აფიცერი, რომელიც ეწვევა სულთანს სტამბოლში. მაგრამ ჩინის მოცემას კი არა ვსთხოვ, ჩემივე ჩინით მივალ!“

—

ერთს ნემეცურს გაზეთში იწერებიან ჩვენი ქალაქიდამ, რომ ოსმალოს სომხეთიდამ გამოქცეული მაჰმადიანები, მმართებლობის განკარგულებით, კავკასიაში იქნებიან დასახლებულნი, იმ გუბერნიებში და უეზდებში, საცა ამ ჟამად რუსის თათრები სახლობენო.

—

სტამბოლიდამ მოდის ამბავი, რომ სულთანი და ხალხი იქ ძალიან გახარებული არიან, რადგან ამ უკანასკნელ დროს მცირე აზიაში იმათი ბრძოლის საქმე ძალიან კარგათ მიდისო. ამის გამო ახლა ისევ ემადლიერებიან მუხთარ-ფაშას, რომელსაც, რუსებისაგან არტაანის აღების შემდეგ, სამართალში მიცემას და დახვრეტასაც უპირებდნენო.

—

სტამბოლიდამ მიღებული დეპეშა გვაცნობებს, რომ გამოჩენილი ადმირალი ჰობარტ-ფაშა, რომელზედაც ამ უკანასკნელ დროს თითქმის სრულიად არა ისმოდრა, ამ ჟამად რამდენიმე ჯავშნიანი ხომალდით ბათუმისაკენ მიდისო.

—

„მოსკოვის უწყებებში“ იწერებიან, რომ ტფილისში მოვიდა მარშალის ბაზენის ძმის-წული კაპიტანი ბაზენი, რომელიც აქედამ მცირე აზიაში მომქმედ არმიაში მიდისო.

## ევროპის ბრძოლის ველიდამ

პეტერბურღის ნემეცურს გაზეთში ავსტრიიდამ იწერებიან, რომ ბალკანის მთებში რუსის ჯარის გადასვლა ვენაში არ მიიღეს სიამოვნებითაო. სტამბოლში კი ამ გარემოებამ საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა. მოვიდა თუ არა იქ ეს ამბავი, იმ წამსვე ჩერნოგორიაში მომქმედ სულეიმან-ფაშას ბრძანება გაუგზავნეს, რომ დაეჩქაროს ბოლგარიაში თავის ჯარის მიყვანას.

—

ჟურჟევოდამ ამ 5 ივლისს კიდევ ხელ-ახლად დაუწყეს რუსჩუკს რუსებმა ყუმბარების დაშენა; რუსჩუკში ყოველ დღე მოელიან, რომ რუსის ჯარი მიადგება ხმელეთიდამ ქალაქს, გარს შემოესაფრება და მერე იმის იერიშით აღებას განიზრახავს.

აბდულ-ქერიმ-ფაშამ მიწერილობა გაუგზავნა დუნაის მდინარეში მყოფის ყველა ჯავშნიან ხომალდების კაპიტნებს, რომ, თუ დუნაიზე გაჩერება აღარ შეგეძლებათ და დაინახავთ, რომ შეიძლება თქვენ ხელ-ქვეშით მყოფი ხომალდები მტერს ჩაუვარდეს ხელში, გააფუჭეთ ეს ხომალდები და წყალში დალუპეთო.

—

ადრიანოპოლში ოსმალოებს ამ ჟამად 30,000 კაცი ჰყავთ და მუდამ დღე ახალ-ახალი ჯარები მოსდისთ კიდევ სტამბოლიდამ. ამ დღეებში მოელიან იქ სულეიმან-ფაშას თავის 40 ბატალიონით, რომელიც ჩერნოგორიიდამ მოდის. სულეიმან-ფაშა კარგ მეომარ ღენერლად და კიდევ უკეთეს სტრატეგიკოსად მიაჩნიათ და ამიტომ დიდი იმედი აქვსთ, რომ ის შეაჩერებს რუსებს, რომელნიც

---

„ჯერ-ჯერობით, ამბობს უფ. კუტული, კავკასიის ხალხებში ქართველები კიდევ უმრავლესობას შეადგენენ; ისინი 700,000-მდინ იქნებიან(?)... სომხები კი 600,000 და ამ საუკუნის დამლევამდინ უფრო მომეტებული იქნებიან(?), რადგან ეს ხალხი გასაკვირველად მრავლდება..“

„ერთსა და იმავე დროს სომხებს აქვთ ნიჭი თავიანთ ნაციონალურ თვისებათა და განსხვავებათა დაცვისა, შენახვისა და იმავე დროს ისინი ადვილად ითვისებენ ყველა უცხო ხალხების მაგალითებს და განათლებას. ქართველი აღმოსავლეთის (აზიის) ხალხათ რჩება; სომეხი კი ევროპიელია და ამავე დროს თავის სომხობასაც არ სტოვებს.“

„სომხებს დიდი გონებითი გავლენა და ზედმოქმედება აქვთ კავკასიის სხვა ადგილობრივ ხალხებზე.

„სომხური ანდაზა ამბობს: „ქართველებს თვალში აქვთ ჭკუა და სომხებს კი ტვინშიო.“

„ყველა იმ ხალხებში, რომელნიც რუსეთს სამხრეთ კავკასიაში ჰყავს, სომხები ყველაზე უფრო ცხოველი ხალხია.“

✕

ამ სომხების აღწერაში ყველაზე უფრო შესანიშნავია შედარება კორრესპონდენტისა სომხებსა და ქართველებს შუა: კავკასიაში „ჯერ-ჯერობით“ ქართველები მომეტებულნი არიანო, სომხები თუმცა ნაკლები არიან რიცხვით, მაგრამ ამ საუკუნის დამლევს ისინი სხვებზე უფრო მომეტებული იქნებიან, რადგან სომხები განსაკვირველად მრავლდებიანო, სომხებს ტვინში აქვთ ჭკუა და ქართველებს კი თვალშიო, სომხებს დიდი გავლენა აქვთ კავკასიის სხვა ხალხებზედაო და სხვ.

მაგრამ ეს კიდევ რა! წაიკითხეთ შემდეგი სიტყვები, რომელიც უთქვამს (ან დაუწერია) უ. კუტულისათვის ერთს ვიღაც სომეხს და მაშინ უფრო დარწმუნდებით, რომ პატივცემულ ახალგაზდა სომეხთ თითქო განგებ იმიტომ გაუწევიათ ამდენი შრომა და კუდში სდევნა, რომ ქვეყანას დაუმტკიცონ, რომ კავკასიაში, რაცა ვართ, ჩვენა ვართ, ქართველები ვინა ჰყრიანო!

„წუნწებისა და ვერცხლის მოყვარე ხალხის სახელი დაგვიგდეს (?) ჩვენ, უთქვამს ერთს სომეხს უფ. კუტულისათვის. მაგრამ რაც სომხები გამდიდრდენ (ჩვენში არიან მდიდრები, რომელთაც 30 მილიონი მანეთი აქვთ, მაგალითად მირზოევი (?)), ისინი არაფერს არაზოგავენ ხალხის განათლებისათვის. ტფილისის სომხურს გაზეთებში ხშირათ წაიკითხავთ, რომ ამა და ამ სომეხმა ასი ათასი, ორასი ათასი მანეთი (?) შესწირა შკოლის დაფუძნებელადაო.

„მაშინ როდესაც ქართველებს არც ერთი თავის შკოლა არა აქვთ, სომხებს აქვთ მარტო კავკასიაში 276 პირველდაწყებითი თავის ხარჯით გამართული შკოლა.“

და იმის დასამკიცებელად, რომ სომხებს სწავლა უყვართ, რომ ერი და ბერი ეხმარება ხალხში განათლების გავრცელებას უფ. ჟელიხოვსკის ავტორიტეტი მოჰყავს!

ახლა სომხების მხედრობისა და მხნეობის შესახებ:

უფ. კუტულის მოჰყავს შემდეგი სიტყვები ზემოხსენებულის სომეხისა:

„თუმცა რიცხვით აქაურს რუსის ჯარში ქართველები უფრო მომეტებული არიან, მაგრამ მაგიერად ჩვენ მივეცით რუსის არმიას საუკეთესო ღენერლები, როგორც მაგალითად: თ. ბებუთოვი ქურუქ-დარასთანა და ბაშ-კადიკლართან ოსმალოს დამმარცხებული, თ. მადათოვი, თ. არღუთინსკი, ბოლოს ახლანდელი ალექსანდრაპოლის კორპუსის მთავარ-სარდალი—ლორის-მელიქოვი, ღენ. ტერ-ღუკასოვი—ერევნის ატრიადის უფროსი, ღენ. ლაზარევი და სხვ. და სხვ.„

✕

უფ. კუტული, სხვათა შორის, ტფილისის მახლობლად მდებარე სომხის სოფელს შინდისში წაუყვანიათ ჩვენ სომხებს იმ განზრახვით, რომ იქაური დღესასწაული უჩვენონ.

ვრცლად აგვიწერს კორრესპონდენტი უფ. ზურგენზეგოვის სახლს, რომელთანაც ის ყოფილა მიპატიჟებული, სადილს, კახურსა და „შინდისის ღვინოს“, ზურნას, მესაზანდრეს, რომელსაც ის ღირსეულად შეუმკია, ლეკურს, რომელიც იმასაც უთამაშნია, ხალხის ქეიფს, თვითონ ხალხს, იმის შეხედულობას, სახეს, ქალებსა და სხვ. სხვ.

ჩაცმულობითა და სილამაზით შინდისელი ქალები უფ. კუტულის ვერ მოსწონებია. ზანსაკუთრებით გაუკვირვებია ის იქაურ ქალების ცხვირის სიდიდეს,

ასე მხნეთ მიდიან წინ პირ-და-პირ ადრიანოპოლისა და სოფიისაკენ.

—

რუსულ გაზეთს „Новое Время“-ში დაბეჭდილია შემდეგი სტამბოლიდამ მიღებული ტელეგრამმა:

„კოსტანტინოპოლი, 5 ივლისს, რუსის ჯარის ბალკანზე გადმოსვლის ამბავმა აქ მთელი ქვეყანა ააშფოთა და დააფთხო. იმწამსვე შეგროვდნენ სოფტები და გამოაცხადეს, რომ დუნაის მთავარ სარდალი აბდულ-ქერიმ-ფაშა ახლავე უნდა გამოცვალოს მმართებლობამ, იმის მაგიერ უფრო ნიჭიერი სარდალი უნდა დაენიშნოს ჯარსაო და ამას გარდა, ჯარის გასამხნევებელად აუცილებლად საჭიროაო, რომ თვითონ ხონთქარიც წავიდეს ბოლგარიაში ბრძოლის ველზედაო. სულთანი ისეთნაირად დაბნეულია, რომ არ იცის—რა ჰქნას. ამბობენ, რომ ის მხოლოთ იმ შემთხვევაში წავა არმიაში, თუ რუსის ჯარი ადრიანოპოლამდინ მოაწევს და ამ ქალაქის აღებას დააპირებსო.„

—

ტელეგრამმებიდამ იცის მკითხველმა, რომ ევროპის ბრძოლის ველზე მომქმედ ოსმალოს ჯარის მთავარი სარდალი აბდულ-ქერიმ-ფაშა გამოსცვალეს, რადგან იმას აბრალებდნენ ასე ცუდათ იქ საქმეების წაყვანას. იმის მოადგილეთ დროებით ოსმან-ფაშა დაუნიშნავთ; მერე კი მთელი ამ არმიის მთავარ სარდლად ჩერნოგორიის დამმარცხებელი სულეიმან-ფაშა დაინიშნება. ამბობენ, რომ აბდულ-ქერიმ-ფაშა შუმლის ციხე-ქალაქში დაყენებულის გარნიზონის უფროსად არის დანიშნული და ეს ქალაქი უნდა გაამაგროს კიდევ და დაიცვასო.

—

ნემეცურს პეტერბურღის გაზეთში „St.-Peterburger Herold“-ში იწერებიან ვენიდამ, რომ ადრიანოპოლში დგას ამ ჟამად (7 ივლისს) სულეიმან-ფაშა, რომელსაც ხელ-ქვეშ 50,000 კაცი ჯარი ჰყავსო. ამ ჯარის დანიშნულება, ამ გაზეთის სიტყვით, ის არის, რომ დაუხვდეს 45 რუსის ბატალიონს, რომელიც ბალკანის მთებზე გადმოსულა და უნდა გადმოვიდეს.

# საქართველო

## დღიური

*** გასულ კვირას, კუკიის ხიდ ქვეშ, მირზოევის ხის შენობას წაეკიდა ცეცხლი; ერთის საათის განმავალობაში სრულიად გადიწვა თვითონ ეს შენობაცა და იქ დაწყობილი სხვა-და-სხვა საშენი მასალაცა.

გასაკვირველია, რომ ამ მირზოევის შენობებსა და ხიდს როგორღაც ერთობ ემტერება ეს ცეცხლი... [illegible]-ენები ამ გარემოებაზე [illegible] ლაპარაკობენ...

*** „თფილისის მოამბეში“ დაბეჭდილია, რომ წელს თრიალეთისა და ლორის საპრისტაოში ძალიან კარგ მოსავალს მოელიანო. აქაური მცხოვრებლები თან-და-თან რწმუნდებიან ახლაო, რომ ერთმანეთის მტრობა, ნახნავ-ნათესის გაფუჭება და გადაწვა ყველასთვის და მთელი ამ მხრისათვის საზარალო და დამღუპავი არისო და ამის გამო ახლა გაცხარებით მოჰკიდეს ხელი მუშაობასა და იმედია, რომ როცა ნახვენ, რომ მშვიდობიანობით ცხოვრება იმათთვის სასარგებლოა, მაშინ შემდეგში იქნება ავაზაკობისა და ცუდ-კაცობისაგან ხელი აიღონო.

*** ჩვენ გვატყობინებენ, რომ თფილისის სემინარიის მთავრობას კიდევ ორი შაგირდი გამოურიცხავს ამ სასწავლებლიდამ რაღაც სულ უბრალო მიზეზის გამო. ახალი ამბავი კი არ არის ეს ამბავი, ე. ი. რომ ამ ჩვენი სემინარიიდამ სულ ტყუილ-უბრალო მიზეზების გამო შაგირდებს ჰყრიან, მაგრამ ამ გვარი გარემოების შეტყობა მკითხველისათვის არასოდეს უსარგებლო არ არის....

—

„მხოლოთ ერთი ლამაზი ქალი იყო, რომელიც ადელინა პაცის გვანდა, ერთის შეხედვით, და თმაც ევროპიულად ჰქონდა დავარცხნილი. დანარჩენების მე ცხვირის მეტი ვერა შევნიშნერა. ცხვირები, ღმერთო ჩემო, რა ცხვირები! უშველებელი, წარმოუდგენელი! მთასავით წამომჯდარან სახეზედ! ამის მსგავსი არა მინახავს-რა.“

სასაცილო ის არის, რომ ჩვენ გვითხრეს, როცა კორრესპონდენტმა თავის გვერდით მდგომს ერთს სომეხს ჰკითხა თურმე:

— აკი მარწმუნებდით, რომ ლამაზ სომხის ქალებს გაჩვენებთო?

სომეხმა უპასუხა თურმე, რომ

— ეს სულ ქართველი ქალები არიანო!

×

ოთხი უმთავრესი ხალხი ცხოვრობს კავკასიაშიო, ამბობს უფ. კუტული: რუსები, სომხები, თათრები და ქართველებიო და შემდეგ უმატებს, რასაკვირველია, თავის გარსშემორტყმული სომხის ახალგაზდობის შთაგონებით:

„მომავალი კავკასიაში რუსებსა და სომხებს ეკუთვნის. რუსებს აქვთ ძალა, სომხებს მოხერხება (l'habileté). რუსების უფლება აქ მკვიდრად არის დამყარებული, ეს უფლება კავკასიისათვის აუცილებელად საჭიროა. ახლა ის უნდა ვიკითხოთ: კავკასიის თათრები და ქართველები დაიცვენ თავის ნაციონალობას, თუ არა? ერთი პასუხის თქმა შეიძლება მხოლოთ ამაზე: უეჭველია, რომ ეს ორი ხალხი ან გასომხდება და ან გარუსდება.

„ამ ათის წლის წინათ თფილისში იშვიათად გაიგონებდით თურმე სომხურ ლაპარაკსა ახლა კი ყველა სომხურად ლაპარაკობენ და ამ ენას ყველა სხვა ენაზე უფრო ხშირად გაიგონებთ.... მე დამისახელეს ერთი ქართველი ვაჭარი, რომელიც ფულს სომხურად ითვლის თურმე. როცა ამას ჰკითხეს—რატომ ქართულად არ ითვლიო? პასუხად უთხრა:

— ვა! ქართულად რო დავთვალო, ხო გაფრინდება იმწამსვე ფული!“

თითქმის მთელი ქართველი ხალხი თავად-აზნაურობის ხარისხის მაძიებლებისაგან შესდგებაო, ამბობს ერთს ალაგას უფ. კუტული და სხვა ბევრ ამ გვარ სისულელეს ამბობს, რომელზედაც პასუხის გაცემა, რასაკვირველია, არა ღირს, რადგან უამისოთაც ცხადია ყველასთვის.

დასასრულ ჩვენ მოვიყვანთ კიდევ ერთს შესანიშნავ სიტყვას, რომელიც ერთს სომეხს უთქვამს უფ. კორრესპონდენტისათვის:

„ჩვენ, ე. ი. სომხები ვამბობთ:

„დარჩი, იცხოვრე იქ, სადაც პურია!“ და ამას ვუმატებთ:

„ვინ უნდა იმუშაოს?—მე და შენ. ვისა აქვს ჭამის უფლება?—მე და შენ.“

რა კარგი სიტყვებია! მაგრამ უბედურება ეს არის, რომ სომხებს სხვა ყველა ხალხზე ნაკლებ აქვთ უფლება, რომ ამისთანა კეთილ-შობილური, სოციალური ჰაზრის სიტყვები სთქვან.

×

აი ამგვარად აუხვევიათ თვალი ჩვენ ახალგაზდა სომხებს საწყალი კორრესპონდენტისათვის. ეს კორრესპონდენტიც ისეთი სუსტის ტვინის და ხასიათის კაცი ყოფილა, რომ რაც კი არ ჩაუჩურჩულებიათ იმისთვის ყურში, ყველაფერი დაუჯერებია, და არათუ დაუჯერებია, დაუწერია, დაუბეჭდვინებია და საქვეყნოთ გამოუცხადებია.

ტყუილა არ უჭმევიათ უფ. კუტულისათვის პური სომხებს! ჩვენ მართალი ვიყავით, როცა ამ შენიშნვის დასაწყისში ვსთქვით, რომ უანგაროთ, გამოუანგარიშებელად სომხებისაგან ალერსს, ხარჯს არა ვართ შეჩვეული-მეთქი!

მაგრამ, ალბათ, იმათ არ გაუგონიათ ქართული ანდაზა, რომ „სიცრუეს მოკლე კუდი აქვსო.“ კარგი, ერთი გამოუცდელი, ხეპრე კორრესპონდენტი ჩაიგდეს ხელში და რაც უნდოდათ ათქმევინეს, დააწერინეს. მაგრამ მეორე კორრესპონდენტიც შეიძლება მოინახოს! ახლა ამ კორრესპონდენტმა რო გამოააშკარაოს, რომ უფ. კუტული საძაგლად მოუტყუებიათ, რომ ის შეაცდინეს, რომ იმას ბევრი სისულელე ალაპარაკეს,—მაშინ ხომ წახდა კრედიტი, ხომ აღარავინ დაუჯერა ამ განათლებულ სომხის ახალგაზდობას!

ს. მ.

# განცხადებანი

**გამოცდილი** და **განათლებული ქალი**, რომელმაც იცის რუსული, ფრანცუზული, ანგლიური და ნემენცური, **აძლევს ᲣᲠᲝᲙᲔᲑᲡ** იაფ ფასათ.

მსურველს ამ ქალის ნახვისა, შეუძლიან მიჰმართოს მადამ პანონიჩს ტეტრადოვის სახლებში ოვრაჟსკის ქუჩაზე.

(3—3)

## კერძო ორკლასიანი სასწავლებელი და პანსიონი ა. ჭიჭინაძისა ქ. ქუთაისში

1) სწავლა იწყება სეკტემბრის პირველ რიცხვიდამ და ჰგრძელდება იენისს უკანასკნელ რიცხვებამდის, ისე-როგორც სხვა სასწავლებლებშია შემოღებული.

2) ვისაც სურს ამ სასწავლებელში ყმაწვილის შემოყვანა, უნდა მიიქცეს სასწავლებელის მზრუნველთან, რომელიც მიიღებს ყმაწვილებს აგვისტოს პირველ რიცხვებიდამ დაწყებული 15-ს სეკტემბრამდის. ამაზე გვიან ყმაწვილი აღარ მიიღება, თუ არ ეცოდინა ისა, რაც მის საამხანაგო ბოვშვებს უკვე გაუვლიათ მის შემოსვლამდის.

3) შაგირდები განიყოფებიან ორად: ა) პანსიონერებად და ბ) მომსვლელებად.

ა) პანსიონერი ბინად იქნება სასწავლებელში, სადაც ექნება მას სწავლა, სასმელ-საჭმელი დაბან-დარეცხა და ექიმობა. დანარჩენნი საჭირო ნივთები: ტანსაცმელი, ფეხ-საცმელი, სახელმძღვინელო წიგნები და სხვა სამოსწავლო ნივთები უნდა ექნეს ყმაწვილს თავისი. წელიწადში პანსიონერმა უნდა შემოიტანოს 250 მანეთი.

ბ) მომსვლელები დილას მოდიან კლასში, სადილობამდის სწავლულობენ იქ; ამისთვის იხდიან ისინი 40 მანეთს წელიწადში.

4) ფული უნდა იქნეს შემოტანილი ორ ნაწილად: პირველი ნახევარი ყმაწვილის შემოყვანისათანავე და მეორე იანვარში, ნადღესასწაულებს. არცერთ შემთხვევაში უფულოთ ყმაწვილი სწავლაზედ არ იქნება მიშვებული.

5) პანსიონერები, თუმც ესურვებათ მთელს წელიწადს (12 თვეს) დარჩებიან პანსიონში, მაგრამ, თუ ისურვებ მშობლებთან და ნათესავებთან წასვლას სადღესასწაულოთ და საზაფხულოთ, ორის თვით, ამ მიზეზით არ გამოერიცხებათ ფული. არც მაშინ გამოერიცხებათ ფული, რომ ავათ მყოფობის გამო ბავშვი სწავლას მოაკლდეს. მზრუნველი ამ მხრით ვალდებულია ყმწვილის მშობლების და ჭირის უფლების წინაშე მხოლოდ იმ შემთხვეში, თუ ყმაწვილი მოკლებული იქნება პანსიონსა, სწავლას მისის (მზრუნველის) მიზეზით.

6) **მომსვლელები** ჰსწავლობენ სასწავლებელში მხოლოდ სამასწავლო წლის განმავლობაში, ე. ი., დღესასწაულებზე და ზაფხულში ორ თვეს სწავლა არ ექნებათ, მაგრამ ფული მაინც არ გამოერიცხებათ. ავათმყოფობას და სხვა მიზეზებს, რომელნიც დამოკიდებულნი არ არიან მზრუნველზე, აქაც ის მნიშვნელობა აქვთ, როგორც ზევით არის ნათქვამი.

7) **პანსიონერი** მიიღება ქუთაისში მყოფის პირის თავდებობით: თუმც ზემო მოყვანილნი პირობეები ვერ შეასრულა ყმაწვილის ჭირის-უფალმა, ყმაწვილი თავდებმა უნდა ჩაიბაროს და მისს პატრონს ჩააბაროს.

8) გარდა მომსვლელებისა და პანსიონრებისა ყმაწვილები მიიღებიან ნახევარ-პანსიონერებად. ისინი დარჩებიან სასწავლებელში დილიდამ საღამომდის, სადაც ექნებათ სწავლა და სადილი ამათ უნდა შემოიტანონ ორასი მანეთი წლის ქირა, თანახმათ ზევით მოყვანილ პირობათა.

9) სასწავლებელი შესდგება ორის კლასისაგან. პირველი კლასი შეესაბამება გიმნაზიის მოსამზადებელს, და მეორე გიმნაზიის პირველს კლასს.

პირველ კლასში სწავლობენ:

1) შემოკლებულ საღმრთო ისტორიას ძველისა და ახალ აღთქმისა, და ლოცვებს.
2) რუსულ ენას
3) ქართულს
4) არითმეტიკას
5) წერას

მეორეში:

1) საღმთო ისტორიას ძველის აღთქმისა ვრცლად და ლოცვებს
2) რუსულ ენას
3) ქართულს
4) ლათინურს, (ვისაც გიმნაზიაში გადასვლა ჰსურს)
5) გეოგრაფიას
6) არითმეტიკას
7) ხატვას გეომეტრიულთა სხეულთა.

სასწავლებლის და პანსიონის მზრუნველი

ა. ჭიჭინაძე

# „კეკეთი“

სარძეო სარდაფს **„კეკეთში“**, ყოველ დღე ისყიდება: კ ა რ ა ქ ი, ნ ა ღ ე ბ ი, მ ე ტ ა ნ ა, ტ ვ ო რ ო გ ი, ყ ვ ე ლ ი, უ დ უ ღ ა რ ი და ა დ უ ღ ე ბ უ ლ ი რ ძ ე და მ ა წ ო ნ ი.—

ამ ზაფხულს მსურველთ კოჯორშიაც შეუძლიანთ მოითხოვონ ყველაფერი ის, რაც აქ, ქალაქის სარდაფში, ისყიდება, მხოლოდ საჭიროა, რომ დაჩნიკებმა წინ და წინ გამოუცხადონ სარძეო სარდაფს თავის სურვილი, რომ დანიშნულ დროს სახლზე მიუვიდესთ.

სარძეო სარდაფი **„კეკეთი“** იმყოფება: სასახლის ქუჩაზე, მუზეუმის პირდაპირ, შაბუროვის სახლებში, სადაც უწინ ივანოვის ბიბლიოთეკა იყო.

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა: . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 10 ივლისს | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 24 პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 264 სანტიმი. | — | 81 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | $7\frac{1}{2}$ | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 94 | — |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 211 | — |
| მოგებიანი (მეორე ცესხი) | 210 | 50 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$) | 83 | + |
| მოსკოვის (5%). . . . | 90 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 158 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემების | 465 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 203 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 735 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 268 | — |

| მაზანდა | მან | კაპ. |
|---|---|---|
| თფილისი, 13 ივლისს | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ. | 1 | 20 |
| ფქვილი წითელი. . . | 1 | — |
| ქერი ფუთი. . . . | — | 70 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | — |
| —ამერიკისა, ფუთი. . | 8 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 7 | 80 |
| მატყლი თუშური ფთ . | 6 | — |
| —თარაქამისა ფთ. . | 3 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 20 |
| ქონი, ფუთი. . . | 5 | 50 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 6 | 20 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | — |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 54 |
| —ცხვრისა, ლიტრა . | — | 54 |
| სპირტი, გრადუსი . | — | 12 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 80 |
| —ფხვნილი ფუთი. . | 7 | 50 |
| ყავა გრგვალი, ფუთი . | 25 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 9 | — |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 7 | 94 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Іюля 1877 г. Типографія Меликова.* გამოცემული ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი